

## იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური მოდელის გადასინჯვა ორდინარული კანონმდებლობით

თამარ ქეცბაია<sup>1</sup>

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კონსტიტუციურმა ინსტიტუტმა, წლების განმავლობაში ფუნდამენტური ტრანსფორმაციის პროცესი გაიარა.<sup>2</sup> თავდაპირველად იგი ფუნქციონირებდა, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. სასამართლო ხელისუფლებაში გატარებული მრავალი რეფორმის შედეგად, კონსტიტუციის დონეზე საბჭოს სტატუსი განმტკიცდა, მისი მანდატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ის სასამართლო სისტემის მართვისა და ადმინისტრირების ცენტრალურ ორგანოდ ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებამ საბჭოს ფორმირების არაერთი წესი შემოგვთავაზა, 2006 წლიდან მოყოლებული კონსტიტუციური ჩარჩო უცვლელ პრინციპს ეფუძნება: იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის სხვადასხვა კონსტიტუციური ინსტიტუტის მიერ არჩეული/დანიშნული წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ორგანო, რომელშიც, მართალია, ბალანსი გადახრილია მოსამართლე წევრების სასარგებლოდ, თუმცა არამოსამართლე წევრთა მონაწილეობა კონსტიტუციური მოდელის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს.

2025 წელს დაჩქარებული წესით მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და მოსამართლე წევრთა წარმომადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება ფორმალურად არ სცდება კონსტიტუციის ტექსტს, ის აჩენს კითხვას, რამდენად თავსებადია ორდინარული კანონმდებლობით შემოთავაზებული ახალი მოდელი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ინსტიტუციურ დიზაინთან.

შესაბამისად, წინამდებარე ანალიზის მიზანია, შეაფასოს, თუ როგორ შინაარსობრივ ტრანსფორმაციას განიცდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური მოდელი

<sup>1</sup> კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, Email: [t.ketsbaia@ug.edu.ge](mailto:t.ketsbaia@ug.edu.ge)

<sup>2</sup> დ. ზედელაშვილი, თ. ქეცბაია და ა. ჭიბრიშვილი, „სამოსამართლო საბჭოს ევროპული მოდელი საქართველოში“. ნაშრომში: საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური რეკონსტრუქცია შედარებით პერსპექტივაში (თბილისი, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, 2023), გვ. 40-52. <https://gnomonwise.org/storage/publications/November2023/kCBskmuppMiu4X1M2U6Z.pdf>

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე და ხომ არ იხრება ის შერეული მოდელიდან წმინდად სამოსამართლო საბჭოსკენ.

ამასთან, ნაშრომი მიმოიხილავს უშუალოდ მოსამართლე წევრთა მონაწილეობასთან დაკავშირებულ ახლებურ მოწესრიგებასა და მის გავლენას საბჭოს შიდა ძალაუფლების ბალანსზე. საბოლოოდ, ანალიზი მიზნად ისახავს, წამოჭრას და დღის წესრიგში დააყენოს მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შემდგომ სიღრმისეულ კვლევასა და აკადემიურ მსჯელობას საჭიროებს - რამდენად თავსებადია რეფორმირებული მოდელი კონსტიტუციურ ჩარჩოსთან და რამდენად უზრუნველყოფს იგი სასამართლო სისტემის რეალურ დამოუკიდებლობას, შიდა და გარე გავლენებისგან დაცვასა და დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას.

### **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური არქიტექტურა: პლურალიზმისა და კონსენსუსის იდეა**

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმგვარ ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც გამორიცხავს ე.წ. „წმინდად სამოსამართლო საბჭოს“ არსებობას.<sup>3</sup> კერძოდ, კონსტიტუცია პირდაპირ მოითხოვს საბჭოს ფორმირებაში პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ხელისუფლების მონაწილეობას და მათი მხრიდან არამოსამართლე წევრების განწესებას. ამასთან, მართალია, კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია არ უთითებს არამოსამართლე წევრთა კონკრეტულ რაოდენობაზე, თუმცა ირიბად ადგენს მათ მინიმალურ და მაქსიმალურ კვოტებს.

ასე მაგალითად, კონსტიტუციის მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა შედიოდეს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი (მხოლოდითი ფორმა მხოლოდ ერთ წარმომადგენელს გულისხმობს) და პარლამენტის მიერ არჩეული წევრები (ორი ან მეტი). ამავდროულად, მოქმედებს იმპერატიული დათქმა, რომ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრები უნდა შეადგენდნენ საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს (რაც, სულ მცირე, 8 წევრს უდრის). ამას ემატება ex officio წევრი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რაც მოსამართლე წევრთა მინიმალურ რაოდენობას 9-მდე ზრდის. შესაბამისად, ამგვარი გადანაწილება არამოსამართლე წევრთა მაქსიმალურ ზღვრად - ექვსს, ხოლო მინიმალურ ოდენობად სამს ადგენს.

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 64(2)  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ამასთან, საყურადღებოა კონსტიტუციის კიდევ ერთი ჩანაწერი. კერძოდ, უზენაესი კანონი, განსაზღვრავს რა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმთავრეს ფუნქციად პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა დანიშვნას,<sup>4</sup> ადგენს, რომ ეს გადაწყვეტილება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-მა უნდა მიიღოს,<sup>5</sup> რაც მინიმუმ 10 წევრის თანხმობას გულისხმობს. საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ჩარჩოს გათვალისწინებით,<sup>6</sup> კონსტიტუცია, კვალიფიციური უმრავლესობის დაწესებით, უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება განხორციელდეს არა მხოლოდ მოსამართლე წევრების, არამედ არამოსამართლე წევრების ჩართულობითაც, რაც, თავის მხრივ, ქმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ურთიერთბალანსისა და კონსენსუსის საჭიროებას.

შესაბამისად, მოქმედი კონსტიტუციური მოდელი ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს სამოსამართლო საბჭო არ არის ექსკლუზიურად მოსამართლეებით დაკომპლექტებული ორგანო. პირიქით, კონსტიტუცია მოითხოვს პრეზიდენტისა და პარლამენტის ნდობაგამოცხადებული პირების სავალდებულო ჩართულობას, რისი მიჩნევაც მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმად გაუმართლებელია. შერეული მოდელის მიზანია საბჭოსთვის მინდობილი უამრავი უფლებამოსილება, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშვნა, არ განხორციელდეს ვიწრო კორპორაციული, მხოლოდ სამოსამართლო ფრთის ნებით. ეს არის გარანტია, რომელიც სისტემის მაღალ ლეგიტიმაციასა და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. ამ ჩანაწერის სხვანაირი ინტერპრეტაცია გაუგებარს გახდიდა კონსტიტუციურ არჩევანს, რომლის თანახმადაც, კანონმდებელმა თავი შეიკავა მხოლოდ მოსამართლე წევრებით დაკომპლექტებული საბჭოს მოდელის დამკვიდრებისგან და უპირატესობა შერეულ მოდელს მიანიჭა.

---

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 64(1).

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63(6).

<sup>6</sup> შემთხვევა, როცა საბჭოში მოსამართლე წევრთა რაოდენობა მხოლოდ რვას უდრის და შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან ერთად, მოსამართლე წევრთა რაოდენობა ცხრას შეადგენს, რაც, რეალურად, 2025 წლის ცვილებებამდე არსებული მოცემულობა იყო.

**2025 წლის საკანონმდებლო რეფორმა: ფორმალურად - შერეული, ფაქტობრივად - „წმინდად სამოსამართლო მოდელი“**

2025 წლის ივნისში, დაჩქარებული წესით,<sup>7</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში არაერთი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა.<sup>8</sup> რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობისა და მისი დაკომპლექტების წესის ფუნდამენტური ცვლილება წარმოადგენს. ახალი მოდელით, საბჭოს 15-წევრიან სტრუქტურაში მოსამართლე წევრთა პროპორციული წილი უპრეცედენტოდ, 80%-მდე იზრდება.

კერძოდ, ნაცვლად მანამდე არსებული ბალანსისა, როდესაც მოსამართლეთა კონფერენცია 8 წევრს ირჩევდა, ახალი რედაქციით, ეს რაოდენობა 11-მდე გაიზარდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ex officio სტატუსის გათვალისწინებით, საბჭოში მოსამართლეთა კორპუსი ახლა უკვე მყარ, 12-ხმიან სუპერკვალიფიციურ უმრავლესობას ფლობს. პარალელურად, კანონმდებელმა შეამცირა საპარლამენტო კვოტა და არამოსამართლე წევრების რაოდენობა 5-დან 2-მდე დაიყვანა. ამ მოდელში არამოსამართლე წევრები, პრაქტიკულად, კარგავენ რაიმე სახის რეალურ ბერკეტს გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად.<sup>9</sup> მოსამართლე წევრებს დამოუკიდებლადც შესწევთ უნარი, არათუ შექმნან ნებისმიერი კვორუმი, არამედ მიიღონ უმაღლესი კონსტიტუციური ბარიერის მქონე გადაწყვეტილებებიც კი. ამ მოცემულობას არამოსამართლე წევრების მონაწილეობა სიმბოლურ ფუნქციამდე დაჰყავს.

ამ გარემოებაზე პირდაპირ უთითებს კანონპროექტის განმარტებითი ბარათიც, რომლის მიხედვითაც: „...აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობს სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას და სისტემისთვის ყველა აუცილებელი გადაწყვეტილების დაუბრკოლებლად

<sup>7</sup> კანონპროექტი დაინიციირდა 2025 წლის 18 ივნისს და ინიციატორთა მოთხოვნით, დაჩქარებული წესით განიხილეს. შედეგად, მესამე მოსმენით კენჭი უყარა 26 ივნისს, ხოლო 27 ივნისს გამოქვეყნდა ვებგვერდზე. იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 18 ივნისის კანონპროექტი N07-3/74/11. <https://www.parliament.ge/legislation/31004>

<sup>8</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N827-III-XIმპ, 26/06/2025. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6544848?publication=0>

<sup>9</sup> არამოსამართლე წევრის ხმა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში იქნება გადამწყვეტი, მათ შორის, მაშინ, თუ მოსამართლეთა არანაკლებ 2/3-ის მიერ (რომელიც ორგანული კანონის მიხედვით გადაწყვეტილების მისაღებად ყველაზე მაღალი კვორუმი) მისაღები საკითხის ირგვლივ მოსამართლე წევრები ვერ შეთანხმდებიან - როგორც მინიმუმ, სამი მოსამართლე წევრი (რაც მოსამართლე წევრთა 25%-ს შეადგენს) დააფიქსირებს განსხვავებულ აზრს. მსგავსი შიდა ოპოზიცია კი პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენს.

მიღებას მხოლოდ მოსამართლე წევრების მხარდაჭერითაც კი<sup>10</sup>. მართლაც, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არცერთ საკითხს, რომელთა მისაღებადაც იმაზე უფრო მაღალი მხარდაჭერაა საჭირო, ვიდრე მოსამართლე წევრთა რაოდენობა, მიღებული განხორციელებული ცვლილების შედეგად. განმარტებითი ბარათის ამ ჩანაწერში კარგად ჩანს რეფორმის მთავარი მიზანი - ისეთი ახალი მოდელის შექმნა, რომელიც, ფაქტობრივად, წმინდად სამოსამართლო საბჭოს აყალიბებს.

საგულისხმოა, რომ განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი ამ მოდელის კონსტიტუციით დადგენილ მოდელთან თავსებადობის შესახებ. ნაცვლად ამისა, ავტორებს შემოაქვთ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის არგუმენტი. კერძოდ, განმარტებით ბარათში მოხმობილია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2007 წლის 23 ნოემბრის #10 დასკვნის მე-16 პუნქტის მითითება, რომ „მართლმსაჯულების საბჭო შესაძლებელია სრულად შედგებოდეს მოსამართლეებისგან, ან იყოს შერეული შემადგენლობის და შედგებოდეს მოსამართლეებისა და არამოსამართლეებისგან. ორივე შემთხვევაში თავიდან უნდა იქნას არიდებული პირადი ინტერესების გატარება, პირადი პროტექცია და ქრონიზმი“<sup>11</sup>. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჩანაწერი წარმოადგენს მოდელის ფუნდამენტური შეცვლის სამართლებრივი დასაბუთების ერთადერთ არგუმენტს, საინტერესოა მისი შინაარსობრივი ანალიზი.

ხსენებული დასკვნა ნამდვილად აძლევს ქვეყნებს თავისუფალ არჩევანს, თავად განსაზღვრონ, თუ რომელ მოდელს მიანიჭებენ უპირატესობას: შერეულ თუ სრულად მოსამართლეებით დაკომპლექტებულ საბჭოს. თუმცა, იქვე არსებობს იმპერატიული დათქმა, რომ შერეული მოდელის არჩევის შემთხვევაში, მოსამართლეები უნდა წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან უმრავლესობას.<sup>12</sup> მეტიც, შერეული მოდელი არ გამოირიცხავს გარკვეული, სპეციფიკური, ვიწრო ფუნქციების დელეგირებას მხოლოდ სამოსამართლო ფრთისთვის,<sup>13</sup> თუმცა არ შეიძლება ამის გაგება ისე, რომ საბჭოს ყველა ძირითადი და არსებითი კომპეტენცია დამოკიდებული გახდეს ექსკლუზიურად მოსამართლეთა ნებაზე.

ამავე დოკუმენტში საუბარია ამგვარი შერეული საბჭოს მთავარ უპირატესობებზე: ერთი მხრივ, თავიდან აირიდოს პირადი ინტერესი, პირადი პროტექცია და ქრონიზმი, ხოლო მეორე

<sup>10</sup> განმარტებითი ბარათი “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” 2025 წლის 18 ივნისის კანონპროექტზე N201/3-XIმპ, 12-11-2025. <https://www.parliament.ge/legislation/31527>

<sup>11</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N10(2007) „სასამართლო საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში“, მიღებულია CCJE-ს მე-8 სხდომაზე (სტრასბურგი, 2007 წლის 21-23 ნოემბერი), პარ. 16. <https://rm.coe.int/-ccje-10-2007-/1680747688>

<sup>12</sup> Ibid. პარ. 18.

<sup>13</sup> Ibid. პარ. 20.

მხრივ - უზრუნველყოს სისტემის დიაობა საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისთვის, რითაც დამატებით წყაროს ქმნის მართლმსაჯულების ლეგიტიმურობისთვის.<sup>14</sup>

2007 წლის დასკვნას იმეორებს და ამავე დროს, აფართოებს CCJE-ს 2021 წლის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მთავარი და უცვლელი პრინციპი არის საბჭოში მოსამართლე წევრთა (თავად მოსამართლეთა მიერ არჩეული) უმრავლესობის ფორმირება; სხვა წევრები კი შეიძლება დაემატონ თავად საბჭოს ფუნქციებიდან გამომდინარე.<sup>15</sup> „CCJE იძლევა რეკომენდაციას, რომ საბჭოების შემადგენლობაში არამოსამართლე წევრებიც იყვნენ წარმოდგენილი, შესაძლოა, მათ შორის, რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც არ გააჩნიათ კვალიფიკაცია სამართლის სფეროში (lay persons). მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები ყოველთვის უმრავლესობაში უნდა იყვნენ, არამოსამართლე წევრები, სასურველია, ხმის მიცემის უფლებით, უზრუნველყოფენ საზოგადოების მრავალფეროვან წარმომადგენლობას, რაც ამცირებს კორპორატივიზმის რისკს. არაიურიტი წევრების მონაწილეობას შეუძლია გაზარდოს ლეგიტიმურობა და ებრძოდოს სასამართლო ხელისუფლების მიმართ აღქმას, რომ ეს „მხოლოდ იურისტების საქმეა“, - ვკითხულობთ განახლებულ მოსაზრებაში.<sup>16</sup>

ეს დამატება პრინციპულად მნიშვნელოვანია იმ პერსპექტივიდან, რომ საბჭოს მთავარი ფუნქცია არაა მხოლოდ სასამართლო სისტემის დაცვა ხელისუფლების სხვა შტოებისგან და მათგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. საბჭოს ამოცანაა ასევე შიდა კორპორატივიზმის საფრთხეებთან ბრძოლა და იმ რისკების თავიდან აცილება, რომლებიც სასამართლოს გარე, დემოკრატიული კონტროლისთვის ჩაკეტილ სისტემად აქცევს. იმ მოცემულობაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მისი დემოკრატიული ლეგიტიმაციის ნაკლებობა წარმოადგენს, საბჭოს შერეული მოდელი, რომელშიც საზოგადოების სხვადასხვა წევრი მონაწილეობს, არის მექანიზმი მართლმსაჯულების სისტემისთვის მეტი ლეგიტიმაციის მისანიჭებლად და მისი დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გასაზრდელად.

კანონპროექტის ავტორთა მხრიდან CCJE-ის 2007 წლის დასკვნაზე მითითება ზედაპირულ ხასიათს ატარებს, რადგან ის შემოიფარგლება მხოლოდ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ერთი წინადადების ციტირებით და უგულებელყოფს ევროპული სტანდარტის ევოლუციასა და შინაარსობრივ სიდრმეებს. როგორც აღინიშნა, CCJE იძლევა ზოგად რეკომენდაციას, თუ

<sup>14</sup> Ibid. პარ. 19.

<sup>15</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა N 24(2021) მართლმსაჯულების საბჭოების ევოლუცია და მათი როლი დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემებში, (სტრასბურგი, 2021 წლის 5 ნოემბერი), პარ. 29. <https://rm.coe.int/opinion-no-24-2021-of-the-ccje-ge/1680a53db2>

<sup>16</sup> Ibid.

როგორი მოდელი დანერგონ მთავრობებმა და რა ფაქტორები გაითვალისწინონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს კონსტიტუცია კი, დღევანდელი მდგომარეობით, მკაფიოდ აფიქსირებს თავის არჩევანს - შერეული საბჭოს სახით.

ასეთ მოცემულობაში, ორდინარული კანონმდებლობით, საბჭოს 15 წევრიდან 12 ადგილის მოსამართლეებისთვის გადაცემა, განურჩევლად საკითხის მნიშვნელობისა, სცდება „მნიშვნელოვანი უმრავლესობის“ ყოველგვარ გონივრულ ფარგლებს და საბჭოს აქცევს, ფაქტობრივად, წმინდად მოსამართლეთა კორპორაციულ ორგანოდ, რომელშიც არამოსამართლე წევრებს de jure უნარჩუნდებათ ხმის უფლება, თუმცა de facto მათი სტატუსი მეტწილად სათათბირო ხასიათისაა. ეს კი, დღევანდელი მოცემულობით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ინსტიტუციურ დიზაინს. შესაბამისად, CCJE-ის რეკომენდაცია რელევანტური იქნებოდა, თუკი ინიციატორები მიზნად დაისახავდნენ არა ორდინარულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, არამედ კონსტიტუციის გადასინჯვას.

### **ცვლილებების მიღმა არსებული შესაძლო პოლიტიკური მოტივაცია**

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკანონმდებლო ცვლილების ოფიციალურ მიზნად დასახელებული გარემოება: „აუცილებელია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეძლოს შეუფერხებლად განახორციელოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილებები“.<sup>17</sup> საგულისხმოა, რომ დოკუმენტში არ არის განმარტებული, თუ რომელი სამართლებრივი ან პრაქტიკული ფაქტორები ქმნიდა უფლებამოსილების განხორციელების რისკებს ხსენებული ცვლილებების მიღებამდე.

ამ მხრივ, შესაძლო რისკების დასაზღვრად აუცილებელია საპარლამენტო მანდატების განაწილების მიმდინარე კონიუნქტურისა და მოქმედი კონსტიტუციური შეზღუდვების ურთიერთკავშირის ანალიზი. საქართველოს კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნით, პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას სჭირდება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ის მხარდაჭერა,<sup>18</sup> რაც 90 ხმას შეადგენს. იმ პირობებში, როდესაც მმართველ პარტიას, საპარლამენტო მანდატების ფაქტობრივი განაწილებით, არ გააჩნია აღნიშნული კვალიფიციური უმრავლესობა (მეტიც,

<sup>17</sup> განმარტებითი ბარათი “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” 2025 წლის 18 ივნისის კანონპროექტზე N201/3-XIმპ, 12-11-2025.

<https://www.parliament.ge/legislation/31527>

<sup>18</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 64(2).

კანონპროექტის ინიცირებისას პარლამენტში ფიზიკურად მხოლოდ 89 დეპუტატი იყო<sup>19</sup>), საბჭოში არამოსამართლე წევრის ვაკანტური ადგილის გაჩენა პარლამენტისთვის დიდ გამოწვევად შეიძლება ქცეულიყო.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევა, კანონპროექტის ინიცირებამდე რამდენიმე თვით ადრე, საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით დაფიქსირდა, როდესაც ერთ-ერთ წევრს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, პარლამენტში კი არ აღმოჩნდა საკმარისი კვორუმი მისი ჩამნაცვლებლის დასანიშნად.<sup>20</sup>

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემთხვევაში, მსგავსი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ორი გამოსავალი შეიძლება არსებობდეს: ან საბჭოს წევრის ასარჩევად საჭირო საპარლამენტო უმრავლესობის შეცვლა, ან მისთვის თავის არიდება. პირველი კონსტიტუციის გადასინჯვას საჭიროებს, შესაბამისად, არც განიხილება. რაც შეეხება მეორე გზას, განსახილველი საკანონმდებლო ცვლილებები აჩენს ეჭვს, რომ უმრავლესობამ სწორედ ის აირჩია. კერძოდ, საბჭოს მოდელის შეცვლა შესაძლოა არის კანონმდებლის არჩევანი, იპოვოს კონსტიტუციურ მოცემულობასთან ადაპტაციის პრაგმატული გზა ორგანული კანონის დონეზე: ნაცვლად ხმათა მიუწვდომელი ბარიერის რეფორმირებისა, ხუთიდან ორ ადგილამდე შემცირდა თავად საპარლამენტო კვოტა.

იყო, თუ - არა ეს რეალური მიზანი, უცნობია, თუმცა, ფაქტობრივად, ამ ცვლილების განხორციელებით, მმართველმა გუნდმა თავიდან აიცილა პოტენციური ინსტიტუციური ჩიხი, სადაც ნებისმიერი ახალი არამოსამართლე წევრის დანიშვნის საჭიროება პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევდა. კერძოდ, სამართლებრივი რეალობა, როდესაც პარლამენტი, დეპუტატთა დეფიციტის ან ოპოზიციასთან კომპრომისის შეუძლებლობის გამო, ასეთ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ვეღარ ახორციელებს, ნეგატიურად აისახება თავად საკანონმდებლო ინსტიტუტის რეპუტაციაზე. შესაბამისად, საკუთარი კვოტის

<sup>19</sup> მოცემული პერიოდისთვის პარლამენტში 101 დეპუტატი ირიცხებოდა, რომელთაგან მხოლოდ 89 დეპუტატი მონაწილეობდა საპარლამენტო საქმიანობაში, 12 დეპუტატი კი, რომლებიც პარტიის „გახარია საქართველოსთვის“ სიით მოხვდნენ პარლამენტში, ბოიკოტის რეჟიმში იყო. 2025 წლის ივნის-ივლისში პარლამენტმა ბოიკოტში მყოფ დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყვიტა. იხ. ტაბულა, „გახარია-საქართველოსთვის 12 წარმომადგენელს დეპუტატის მანდატები შეუწყვიტეს“, 2 ივლისი, 2025. <https://tabula.ge/en/news/737572-gakharia-sakartvelostvis-12-carmomadgenels> საბოლოოდ, პარტიამ ბოიკოტზე უარი თქვა. უფლებამუწყვეტილი დეპუტატების უფლებამონაცვლები, არჩევნებიდან თითქმის წლისთავზე, პარლამენტში შევიდნენ და ჩაერთნენ საპარლამენტო საქმიანობაში. იხ. რადიო თავისუფლება, „პარტია „გახარია საქართველოსთვის“ სადავო პარლამენტში შედის“, 20 ოქტომბერი, 2025. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33564669.html>

<sup>20</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს, მერაბ ტურავას, რომელიც ამავდროულად სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციასაც იკავებდა, უფლებამოსილების ვადა 2025 წლის 30 მარტს ამოეწურა. იხ. რადიო თავისუფლება, „საკონსტიტუციოს მოსამართლემ ვადაზე 5 წლით ადრე დატოვა პოსტი - ვადა ეწურება თავმჯდომარესაც“, 28 მარტი, 2025. <https://www.radiotavisupleba.ge/a/ცვლილებები-საკონსტიტუციო-სასამართლოში/33363308.html>

ნებაყოფლობითი შემცირებითა და უფლების დათმობით, საპარლამენტო უმრავლესობამ, ფაქტობრივად, „ინსტიტუტური უძღურობის“ დემონსტრირებას აარიდა თავი, თუმცა სადავოა, რამდენად შეესაბამება ეს ნაბიჯი კონსტიტუციას, მის სულიკვეთებასა და პატივისცემას.

საინტერესოა, რომ ამ „პრევენციულ სტრატეგიას“ აფორმებს კანონმდებლის მიერ გაწერილი გარდამავალი დებულებებიც.<sup>21</sup> კერძოდ, ახალი, მოსამართლეთა 80%-იანი დომინაციით სტრუქტურირებული, შემადგენლობა ამ ეტაპზე პრაქტიკაში სრულად რეალიზებული ჯერაც არაა. ვინაიდან კანონის ამოქმედების მომენტისთვის პარლამენტის მიერ ადრე არჩეულ არამოსამართლე წევრებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადა უნარჩუნდებათ, ისინი მოსამართლე წევრებით ეტაპობრივად ჩანაცვლებიან, მხოლოდ არამოსამართლე წევრების ვადების ამოწურვის ან სხვაგვარად შეწყვეტის კვალდაკვალ. შესაბამისად, სასამართლო სისტემა ამ საბოლოო მოდელს მიაღწევს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოქმედ არამოსამართლე წევრთა რაოდენობა ეტაპობრივად შემცირდება ორამდე.

საინტერესოა ცვლილებების ძალაში შესვლის შემდგომი პერიოდისა და საბჭოს მიმდინარე შემადგენლობაზე დაკვირვება. 15 წევრიდან, შემადგენლობაში კვლავ არის პარლამენტის მიერ ადრე არჩეული ოთხი<sup>22</sup> და პრეზიდენტის მიერ დანიშნული ერთი<sup>23</sup> წევრი. პირველი (და ამ დროისთვის ერთადერთი) შემთხვევა, როდესაც პარლამენტის მიერ არჩეულ წევრს უფლებამოსილება შეუწყდა და ის, ახალი წესის შესაბამისად, მოსამართლე წევრმა ჩანაცვლა, 2025 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა.

<sup>21</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N827-III-XIმპ, 26/06/2025.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6544848?publication=0>

<sup>22</sup> ამჟამად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტის მიერ არჩეული წევრები არიან: გიორგი გზობავა (2023 წლის მაისიდან - დღემდე); ტრისტან ბენაშვილი (2023 წლის მაისიდან - დღემდე); ზურაბ გურასპაშვილი (2023 წლის მაისიდან - დღემდე); გოგა კვიციანი (2023 წლის ოქტომბრიდან - დღემდე).

<sup>23</sup> 2025 წლის მარტიდან ამ ადგილზე დანიშნა მანუჩარ კაკოჩაშვილი. მის დანიშნას წინ ხანგრძლივი სამართლებრივი დავა უძღოდა. კერძოდ, თავდაპირველად საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 2024 წლის 15 ივლისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად კახა წიქარიშვილი დანიშნა. თუმცა 2024 წლის 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, კონკურსში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატის, მანუჩარ კაკოჩაშვილის, სარჩელის საფუძველზე, შეაჩერა პრეზიდენტის განკარგულება. იხ. Civil Georgia, „სასამართლომ პრეზიდენტის განკარგულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის შესახებ შეაჩერა“, 22 ივლისი, 2024. <https://civil.ge/ka/archives/617200> საბოლოოდ, სასამართლომ დააკმაყოფილა მანუჩარ კაკოჩაშვილის სარჩელი, ეს უკანასკნელი კი მიხეილ ყაველაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად 2025 წლის 19 მარტს დანიშნა. იხ. პირველი არხი, „მიხეილ ყაველაშვილმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ოთხი წლის ვადით მანუჩარ კაკოჩაშვილი დანიშნა“, 19 მარტი, 2025. <https://1tv.ge/news/mikheil-yavelashvilma-saqartvelos-iusticiis-umaghlesi-sabchos-wevrad-otkhi-wlis-vadit-manuchar-kakochashvili-danishna/>

კერძოდ, 2023 წელს პარლამენტის მიერ არჩეული არამოსამართლე წევრი ლევან ნემსაძე მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში, რის შედეგადაც ის პარლამენტმა (82 ხმით) მოსამართლედ აირჩია.<sup>24</sup> მოსამართლის სტატუსის მიღება გახდა მისი, როგორც საბჭოს არამოსამართლე წევრის, უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი. მის ნაცვლად მოსამართლეთა კონფერენციის 295 დელეგატმა 2025 წლის 25 ოქტომბერს საბჭოს მოსამართლე წევრად აირჩია<sup>25</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილი. საგულისხმოა, რომ თავად არჩილ კოჭლამაზაშვილი, განსახილველი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, პარლამენტმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებითა და 89 დეპუტატის მხარდაჭერით,<sup>26</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.<sup>27</sup>

ეს ფაქტობრივი გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, როგორ შევაფასებთ მას - განვიხილავთ უბრალო დამთხვევად, თუ - წინასწარ გათვლილ სცენარად. ფაქტია, პარლამენტს არ გააჩნდა პოლიტიკური რესურსი (90 ხმა), რათა აღნიშნული პირი უშუალოდ საბჭოში აერჩია არამოსამართლე წევრად, თუმცა 89 ხმით უზენაეს სასამართლოში განაწესა. შემდგომში კი, მოსამართლეთა კონფერენციის ფილტრის გავლით, ის დაუბრკოლებლად მოხვდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

ამ მოცემულობით, პარლამენტის მიერ არჩეულ დანარჩენ არამოსამართლე წევრებს უფლებამოსილების ვადა, მინიმუმ, 2027 წლის მაისამდე არ ეწურებათ, თუკი, რა თქმა უნდა, მსგავსი სცენარით (მოსამართლე წევრად დანიშვნა) ან სხვა სამართლებრივი საფუძველით, უფლებამოსილება ვადაზე ადრე არ შეუწყდებათ, რაც ავტომატურად წარმოშობს მათ ნაცვლად საბჭოში ახალი მოსამართლე წევრების შემოყვანის საჭიროებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში, არამოსამართლე წევრების ვაკანსიების პარლამენტის მიერ შევსების აუცილებლობა თითქმის გამოირიცხა. ამასთან, საინტერესოა, რომ ვინაიდან ეს გადაწყვეტილება ორგანული კანონის შეცვლისთვის საჭირო (76-ხმიანი) უმრავლესობითაა მიღებული, უმრავლესობას უნარჩუნდება კომფორტული შესაძლებლობა (თუკი ამგვარი ცვლილებების კონსტიტუციურობა ეჭვქვეშ არ

<sup>24</sup> ტაბულა, „მიხეილ ჯინჯოლია და ლევან ნემსაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად აირჩიეს“, 15 ოქტომბერი, 2025. <https://tabula.ge/ge/news/741551-mikheil-jinjolia-levan-nemsadze-uzenaesi>

<sup>25</sup> პირველი არხი, „იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრად არჩილ კოჭლამაზაშვილი აირჩიეს“, 25 ოქტომბერი, 2025. <https://1tv.ge/news/iusticiis-sabchos-mosamartle-wevrad-archil-kochlamazashvili-airchies/>

<sup>26</sup> უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ასარჩევად საკმარისია პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის (76 დეპუტატის), მხარდაჭერა. იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 61(2)

<sup>27</sup> Civil Georgia, „არჩილ კოჭლამაზაშვილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს“, 27 მაისი, 2025. <https://civil.ge/ka/archives/684086>

დადგება და შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება), რომ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის თუნდაც დაჩქარებული განხილვის გზით, საკუთარი პოლიტიკური მოცემულობის შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეცვალოს საბჭოს სტრუქტურა და ის პოლიტიკურ კონიუნქტურას მთარგოს.

### **შიდა ინსტიტუციური კონტროლის მექანიზმების ტრანსფორმაცია: ადმინისტრაციული ვერტიკალის უპრეცედენტო გაძლიერება**

ბოლო ორი ათწლეულის სამართლებრივ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება მოსამართლეებით დომინირებული სამოსამართლო საბჭოების („ევროპული მოდელის“ სამოსამართლო საბჭო) ეფექტიანობის გამოწვევები იმ პერსპექტივიდან, რომ სხვადასხვა იურისდიქციაში ამ ინსტიტუციური მოდელის მექანიზმმა გადატანამ ყოველთვის ვერ უზრუნველყო კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს კონტექსტური რისკების სათანადო გათვალისწინება.<sup>28</sup> ამ დისკუსიის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გარე ძალებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე გადაჭარბებულმა ფოკუსმა შესაძლოა ჩრდილში მოაქციოს სასამართლო სისტემის შიგნით ძალაუფლების კონცენტრაციის, იერარქიული დაქვემდებარებისა და არაფორმალური გავლენის ქსელების ფორმირების საფრთხეები.

ამგვარ სისტემებში ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს არა მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან, არამედ სასამართლო მმართველობის შიდა სტრუქტურიდანაც. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით იზრდება იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების ძირითადი სადამსჯელო და წამახალისებელი მექანიზმები (მოსამართლეთა პროფესიულ-კარიერულ განვითარებასთან, დაწინაურებასთან, დისციპლინურ პასუხისმგებლობასა და სხვა კარიერულ საკითხებთან დაკავშირებული) კონცენტრირებულია სასამართლო ბიუროკრატიის ხელში.

ამასთან, შედარებით-სამართლებრივი კვლევები მიუთითებს, რომ სასამართლოს შიდა ბიუროკრატია შესაძლოა პრაქტიკაში სულაც არ მოქმედებდეს სასამართლო ხელისუფლების გარე გავლენისგან დაცვის მიზნით. განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის

<sup>28</sup> დ.ზედელაშვილი, თ. ქეცბაია და ა.ჭიბრიშვილი, „საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური რეკონსტრუქცია შედარებით პერსპექტივაში“, თბილისი, კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, 2023.

<https://gnomonwise.org/storage/publications/November2023/kCBskmuppMiu4X1M2U6Z.pdf>

გამოცდილების მქონე ქვეყნებში, არაერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ძლიერი, იერარქიული და ცენტრალიზებული სამოსამართლო საბჭო შესაძლოა იქცეს შუამავალ რგოლად გარე პოლიტიკურ აქტორებსა და ინდივიდუალურ მოსამართლეებს შორის. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოზე გავლენა ხორციელდება არა უშუალოდ თითოეულ მოსამართლეზე ზემოქმედებით, არამედ სასამართლო მმართველობის იმ სტრუქტურების მეშვეობით, რომლებიც თავად ფლობენ შიდა ორგანიზაციულ და კარიერულ ბერკეტებს.<sup>29</sup>

აღნიშნული ფენომენი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამოსამართლო საბჭოებში ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე მოსამართლეთა (სასამართლოს თვამდჯომარეების, მოადგილეების, კოლეგიებისა და პალატების ხელმძღვანელობის) კონცენტრაციასა და მათი გავლენების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხთან. სწორედ ამიტომ, თანამედროვე აკადემიურ დისკუსიებში, სამოსამართლო საბჭოების შეფასებისას, ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მოსამართლე და არამოსამართლე წევრების რაოდენობრივ თანაფარდობას, არამედ იმასაც, თუ რომელი ჯგუფები ფლობენ რეალურ გავლენას საბჭოს შიგნით და რომელი მმართველობითი რესურსებია კონცენტრირებული მათ ხელში.

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური მოდელის რევიზიის ანალიზი არასრული იქნება იმ საკანონმდებლო ცვლილების მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასების გარეშე, რომლებიც საბჭოს შიგნით ძალაუფლების გადანაწილებასა და იერარქიულ მოწყობას უკავშირდება.

კერძოდ, 2025 წლამდე მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, არსებობდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საბჭოს მოსამართლე წევრებს შორის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირთა რაოდენობის ზედა ზღვარი ხუთი წევრით შემოიფარგლებოდა (მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთა ნახევარს დამატებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე).<sup>30</sup> 2025 წლის ცვლილებების ფარგლებში, აღნიშნული ლიმიტი ჯერ - შვიდამდე (ექვს მოსამართლე წევრს + უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), საბოლოოდ კი რვა წევრამდე<sup>31</sup> (შვიდ მოსამართლე წევრს + უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე) გაიზარდა. კანონპროექტების ავტორთა განმარტებით, ცვლილების მიზანს

<sup>29</sup> Ibid.

<sup>30</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, (01/12/2022-13/06/2023), მუხლი 47(4), შედარებული ამჟამად, 2026 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, მოქმედ ვერსიასთან. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?impose=parallel&p1=61&p2=47&fullscreen=1&publication=61>

<sup>31</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N1252-IVმს-XIმპ, 17/12/2025. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6703532?publication=0>

წარმოადგენდა მოსამართლე წევრთა რაოდენობის ზრდა და საერთო სასამართლოების ეფექტიანობის უზრუნველყოფა საბჭოს საქმიანობაში უშუალოდ სასამართლო მენეჯმენტის წარმომადგენლობის ჩართულობის გაზრდის გზით.<sup>32</sup>

თუმცა, სტრუქტურული თვალსაზრისით, მოცემულობა, რომ საბჭოს 15 წევრიდან, 8 შეიძლება წარმოადგენდეს უშუალოდ სასამართლო სისტემის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, ფუნდამენტურად ცვლის ძალაუფლების ბალანსს. თუ წინა მოდელში ადმინისტრაციული კორპუსის წარმომადგენლობა სრული შემადგენლობის 33%-დან 47%-მდე მერყეობდა, ახალი რეგულაციით მას 53%-იანი აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება შეუძლია.<sup>33</sup> ეს ნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ბირთვი გადადის იმ სამოსამართლო ელიტის ხელში, რომლის ადმინისტრაციულ პოზიციებზე განწესებასა და კარიერულ წინსვლაზეც (უზენაესი სასამართლოს წევრთა გარდა) უფლებამოსილი თავად საბჭოა.

სასამართლო მენეჯმენტის „ეფექტიანობის“ არგუმენტით, საკანონმდებლო რეფორმამ, ასევე, მკვეთრად გაზარდა ადმინისტრაციულ პოზიციებზე მყოფ პირთა უფლებამოსილების ვადები. ცვლილებებით, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წევრთა უფლებამოსილების ვადა 2-დან 3 წლამდე გაიზარდა,<sup>34</sup> ხოლო სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატის წევრთა - 3-დან 5 წლამდე.<sup>35</sup>

თუმცა ყველაზე თვალსაჩინო ცვლილებაა სასამართლოების თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადების გაორმაგება. უზენაესი სასამართლოს პალატების,<sup>36</sup> სააპელაციო სასამართლოს, მისი მოადგილისა და პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეების,<sup>37</sup> აგრეთვე რაიონული სასამართლოებისა და კოლეგიების თავმჯდომარეთა<sup>38</sup> უფლებამოსილების ვადები, 5 წლის ნაცვლად, 10 წლამდე განისაზღვრა.

<sup>32</sup> განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე N201/3-XIმპ, 12-11-2025.

<https://www.parliament.ge/legislation/31527>

<sup>33</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე შემადგენლობაში, რომელშიც არამოსამართლე წევრები მოსამართლე წევრებით ჯერ სრულად არ ჩანაცვლებულან, ამ ეტაპზე მოსამართლე წევრთა რაოდენობა 10-ს უდრის. აქედან 6 მოსამართლე წევრი სასამართლო სისტემაში მაღალ თანამდებობას იკავებს, ხოლო მეშვიდე წევრი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის წევრია. დანარჩენი სამი წევრიდან, ორი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა, ხოლო ერთი - სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

<sup>34</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, (01/12/2022-13/06/2023), მუხლი 17(2) შედარებული ამჟამად, 2026 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, მოქმედ ვერსიასთან. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?impose=parallel&p1=61&p2=47&fullscreen=1&publication=61>

<sup>35</sup> Ibid., მუხლი 19(1) და 19<sup>1</sup>(2).

<sup>36</sup> Ibid., მუხლი 20(1).

<sup>37</sup> Ibid., მუხლი 23(5-6).

<sup>38</sup> Ibid., მუხლი 30(4) და 32(1).

სამართლებრივი თვალსაზრისით, ვადების ამგვარი ხანგრძლივობა (10 წელი) კორპორაციული მმართველობის პირობებში იწვევს ძალაუფლების პერსონალიზაციას და ზრდის რიგით მოსამართლეებზე ვერტიკალური გავლენის რისკებს.

ვერტიკალური კონტროლის სრულყოფის მიზნით განხორციელებულმა ცვლილებებმა გააუქმა მანამდე არსებული მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფილტრები. პირველ ყოვლისა, მოიხსნა ინსტანციურობის სავალდებულო კვოტა, რომელიც მოითხოვდა, რომ საბჭოში წარმოდგენილი ყოფილიყო სამივე ინსტანციის სასამართლოს თითო წარმომადგენელი მაინც.<sup>39</sup> ამ დამცავი მექანიზმის გაუქმების პრაქტიკული შედეგები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საბჭოს მიმდინარე შემადგენლობაში, რომელშიც პირველი ინსტანციის არცერთი „რიგითი“ (არამენეჯერი) მოსამართლე არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, მართალია, შემადგენლობაში ფიქსირდება პირველი ინსტანციის წარმომადგენელი, თუმცა აღნიშნული პირიც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და ამავედროულად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელია.<sup>40</sup> მეტიც, სააპელაციო სასამართლოდანაც თანამდებობის არმქონე ერთადერთი მოსამართლე ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირია, რომელიც არათუ „რიგითი“ მოსამართლეა, არამედ, მისი გავლენების გათვალისწინებით, ხშირად მოიხსენიება სამოსამართლო ელიტის ლიდერად.<sup>41</sup>

აღნიშნული მოცემულობა ადასტურებს, რომ ინსტანციური ფილტრების მოშლა ხელს უწყობს საბჭოს დაკომპლექტებას ექსკლუზიურად ზედა ინსტანციის კადრებით, რითაც მართვის პროცესისგან იზოლირებული რჩება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კორპუსი, რომლის წილიც სასამართლო სისტემაში ბევრად დიდია, დანარჩენ ორ ინსტანციასთან შედარებით.

## შეჯამება

2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებები, თავისი არსებითი ხასიათიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად შეფასდეს, როგორც სასამართლო სისტემაში

<sup>39</sup> Ibid., მუხლი 47(2)

<sup>40</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი - ვასილ მშვენიერაძე, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციამ 2025 წლის 28 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად აირჩია. იხ. <https://hcoj.gov.ge/ka/ვასილ-მშვენიერაძე2.html>

<sup>41</sup> მოსამართლე ლევან მურუსიძე, რომლის სახელიც საზოგადოებრივ და პროფესიულ წრეებში რეზონანსულ „გირგვლიანის საქმეს“ უკავშირდება, სასამართლო სისტემაში არსებული ძალაუფლების კონცენტრაციისა და საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხსენიებადი ფიგურაა. ის მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად 2022 წლის 23 ოქტომბერს აირჩია, რაც ნიშნავს, რომ მისი უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა იწურება. <https://hcoj.gov.ge/ka/ლევან-მურუსიძე2.html>

განხორციელებული მორიგი რეფორმა. ამ კონტექსტში, კიდევ უფრო საყურადღებოა ასეთი ფუნდამენტური რეფორმის დაჩქარებული წესით წარმართვის ინტერესი და პროცესიდან კრიტიკული ალტერნატიული აზრის გამორიცხვა.

ამ ფორმალურ ხარვეზთან ერთად, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მისი შინაარსობრივი მხარეც, რომელიც „კონსტიტუციური ფორმალიზმის“ იმ სახიფათო პრაქტიკას ამკვიდრებს, როდესაც ორგანული კანონი კონსტიტუციის სულისკვეთების გამოსაფიტად გამოიყენება. არამოსამართლე წევრთა კვოტის მკვეთრი შემცირება და საბჭოს სტრუქტურაში მოსამართლე წევრთა 80%-იანი დომინირების დაკანონება არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილებას; ეს არის კონსტიტუციით რეგულირებული საკითხის არსის შეცვლა, კონსტიტუციის გადასინჯვის გარეშე.

შესაბამისად, იმის მიუხედავად, ვეთანხმებით, თუ - არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ ინსტიტუციურ დიზაინს, რომელსაც დღეს კონსტიტუცია გვთავაზობს, ამ შემთხვევაში ბევრად უფრო პრინციპული სამართლებრივი პრობლემაა ის, თუ როგორ აუარეს გვერდი უზენაეს კანონს.

ამასთან, აღნიშნული რეფორმა, სასამართლოს გარე დამოუკიდებლობის მოტივით, ზრდის სისტემის შიდა კორპორაციული იერარქიის გაძლიერებისა და ინსტიტუციური იზოლაციის რისკებს. ადმინისტრაციული თანამდებობის პირთა ვადების ასეთი რადიკალური განხანგრძლივება და ინსტიტუციური ფილტრების გაუქმება ხელს უწყობს ძალაუფლების მონოლითურ კონცენტრაციას, რაც ზღუდავს რიგით მოსამართლეთა გავლენას პროცესებზე. შედეგად, ანგარიშვალდებული ინსტიტუტის ნაცვლად, ყალიბდება ჩაკეტილი სამოსამართლო კორპორაცია, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ კონტროლსა თუ შიდა პლურალიზმს, რაც, თავის მხრივ, ასუსტებს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ ფუნქციას.